განკარგულება:**g-37. 37251204**
თარიღი:**30/04/2025**

განკარგულება N14

30 აპრილი 2025 წელი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილების და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე და 26-ე მუხლების თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების:

1. რეგისტრაციის ნომერი AAA266C, თვითმცვლელი მისამბმელი, მარკა- OZYESILYURT;

2. რეგისტრაციის ნომერი AV274V, სპეციალური მისაბმელი, მარკა - KASSBOHRER;

3. რეგისტრაციის ნომერი AV273V, სპეციალური მისაბმელი, მარკა - KASSBOHRER;

4. რეგისტრაციის ნომერი AAA265C, თვითმცვლელი მისამბმელი, მარკა- OZYESILYURT;

5. რეგისტრაციის ნომერი GG156P, ბორბლიანი ტრაქტორი, მარკა - SAME;

6. რეგისტრაციის ნომერი AV044V, თვლიანი ტრაქტორი, მარკა - JOHN DEERE;

7. რეგისტრაციის ნომერი AV033V, თვლიანი ტრაქტორი, მარკა - JOHN DEERE;

8. რეგისტრაციის ნომერი AV268V, თვლიანი ტრაქტორი, მარკა - JOHN DEERE;

9. რეგისტრაციის ნომერი AV269V, თვლიანი ტრაქტორი, მარკა - JOHN DEERE

შ.პ.ს. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიისთვის უსასყიდლოთ, პირდაპირი განკარგვის წესით, 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, გადაცემისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. განკარგულება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი